განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

საქართველოს კანონი „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ (შემდგომში - კანონი) განმარტავს იმ თამაშობათა სახეობებს, რომლებიც განეკუთვნება აზარტულ ან/და მომგებიან თამაშებს, მათი მოწყობის წესს, ნებართვის მიღების წესებსა და პირობებს (გარდა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული პირობებისა), ნებართვის მფლობელთა უფლება-მოვალეობებს და სხვა ზოგად პრინციპებს. თუმცა ვერ უწყობს ფეხს სათამაშო ბიზნესის ინდუსტრიის სწრაფ განვითარებას.

მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო დონეზე მკაფიოდ დარეგულირდეს საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი (არარეზიდენტი) პირების მოქმედების საკითხი, რომლებიც არ ფლობენ კანონმდებლობით გათვალისწინებულ თამაშების მიწოდების შესახებ ნებართვას. ასეთი ოპერატორები დღეს ფაქტობრივად საქმიანობენ ქართულ ბაზარზე, ხოლო მათ მიერ მოწყობილი თამაშები, ცალკეულ შემთხვევებში, არ ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ რეგულირებას. ისინი არ იხდიან შესაბამის მოსაკრებლებს და გადასახადებს და შეუძლებელია იმის დადგენა, რამდენად კეთილსინდისიერად ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვას.

მსოფლიოს სხვადასხვა იურისდიქციებში მიღებული პრაქტიკაა, რომ სათამაშო სფეროსთან დაკავშირებული არსებითი პროდუქციის/სერვისების მომწოდებლებმა გაიარონ ავტორიზება შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს მიერ. ამის საჭიროება არსებობს რამდენიმე მიზნით:

ა) სახელმწიფომ უნდა მიიღოს გარანტია, რომ მათ მიერ მოწოდებული პროდუქცია/სერვისები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

ბ) ისინი აკმაყოფილებენ საერთაშორისო და ადგილობრივ ტექნიკურ სტანდარტებს;

გ) დაცულია რეზიდენტი ოპერატორების ინტერესები და ისინი არ იღებენ არალეგალურ კონტენტს და სხვ.

დღეის მდგომარეობით, საქართველოში არსებულ სათამაშო აპარატებზე, კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად, დადგენილია დადებული ფსონის მინიმუმ 80% მოგება, თუმცა, არ არსებობს მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ნებართვის გამცემი ეფექტიანად გააკონტროლებს აღნიშნული საკანონმდებლო მოთხოვნის შესრულებას.

შესაბამისად, არსებული სანებართვო პირობების ჩამონათვალი არასრულია და საჭიროებს დამატებით პირობებს იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა.

როგორც აღინიშნა, სათამაშო ინდუსტრიის სექტორი, კონკრეტულად კი „ინტერნეტ-გემბლინგის“ მიმართულება, ძალიან სწრაფად მზარდი და მუდმივად ცვალებადია. ამასთან, მუდმივი

ტექნოლოგიური განვითარება ქმნის ახალ გამოწვევებს მარეგულირებელი ორგანოების წინაშე ყველა იურისდიქციაში. მნიშვნელოვანია, რომ ასეთ ოპერატორებს განესაზღვროთ მკაცრად გაწერილი სანებართვო პირობები და მათი კონტროლი მოხდეს სწრაფად და ეფექტიანად.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:
კანონის მიღების აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ აზარტული თამაშების ინდუსტრიის მარეგულირებელი კანონმდებლობა მთელი რიგი მიმართულებებით კვლავ ნაკლებად განჭვრეტადი ან/და მოძველებულია, შესაბამისად, ვერ უწყობს ფეხს სათამაშო ბიზნესის ინდუსტრიის სწრაფ განვითარებას. შესაბამისად, სწორედ კანონში ცვლილების შეტანის გზით არის შესაძლებელი არსებული პრობლემის გადაჭრა, კანონში არსებული ხარვეზების გასწორება.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:
წარმოდგენილი კანონის პროექტის მიღების შემთხვევაში, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მოხდება კანონში არსებული ხარვეზების გასწორება, ადმინისტრირების გაუმჯობესება და სხვა პრობლემური საკითხების გადაჭრა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი რამდენიმე ძირითად საკითხს მოიცავს:

1. კანონპროექტის შესაბამისად განისაზღვრება **ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობის ახალი სახე - აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდება,** რაც გულისხმობს აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების მიწოდებას ან/და არსებითი პროდუქციის/სერვისების მიწოდებას აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორისთვის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაცემული აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვის საფუძველზე.

არსებით პროდუქციას/სერვისებს წარმოადგენს ისეთი პროდუქცია ან/და სერვისი, რომელიც მოიცავს: შემთხვევითი რიცხვების გენერირების პლატფორმას (RNG), ჯეკპოტების პლატფორმას, სათამაშო პლატფორმას (მათ შორის სერვერ(ებ)ი, სადაც უშუალოდ ხდება თამაშის შედეგის გამოვლინება), მოთამაშეთა ბაზას, ფინანსურ ბაზას/სისტემას, მენეჯმენტის/კონტროლის სისტემას, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშებს და ამ კანონის შესაბამისად გათვალისწინებულ სხვა პროდუქციას ან/და სერვისს. კანონპროექტი მოიცავს, ასევე, შესაბამისი პროდუქტების/სერვისების (ჯეკპოტის პლატფორმა; შემთხვევითი რიცხვების გენერირების პლატფორმა (RNG); მენეჯმენტის/კონტროლის სისტემა - აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორების შიდა მართვის სისტემა) განმარტებებს.

ისევე როგორც აზარტული და მომგებიანი თამაშობების ნებართვების, ასევე თამაშების მიწოდების ნებართვების გაცემასა და გაუქმებას, მათში ცვლილებების შეტანასა და უწყებრივ სანებართვო რეესტრში გატარებას „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ კანონის შესაბამისად განახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური. ნებართვის გაცემა მოხდება 5 წლის ვადით.

ამასთან, კანონს ემატება 24[1] მუხლი, რომლითაც განისაზღვრება აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვის მისაღებად ნებართვის მაძიებლის მიერ წარსადგენი დოკუმენტები, კერძოდ, ნებართვის მაძიებელი ვალდებულია წარადგინოს:

ა) მისაწოდებელი თამაშების ან/და არსებითი პროდუქციის/სერვისების სრული ჩამონათვალი და დეტალური აღწერილობა;

ბ) გამოსაყენებელი/გამოყენებული არსებითი პროდუქციის/სერვისების საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან/სტანდარტებთან შესაბამისობის დამადასტურებელი ავტორიზაციის სერტიფიკატი;

გ) ნებართვის მაძიებლის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის, დამფუძნებლის/პარტნიორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ბენეფიციარი მესაკუთრე ფიზიკური პირის ნასამართლობის შესახებ ცნობა. ნასამართლობის შესახებ ცნობა გაცემული უნდა იყოს იმ ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რომლის მოქალაქეც არის ნებართვის მაძიებლის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, დამფუძნებელი/პარტნიორი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ბენეფიციარი მესაკუთრე ფიზიკური პირი;

დ) სანებართვო მოსაკრებლის გადასახდელად საჭირო ფულადი სახსრების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება ნებართვის მაძიებელს;

ე) ნებისმიერი სხვა დოკუმენტაცია/ინფორმაცია, რომელსაც მოითხოვს შემოსავლების სამსახური ნებართვის გაცემის თაობაზე ნებართვის მაძიებლის განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მისაღებად.

იმ შემთხვევაში, თუ ნებართვის მფლობელის მიერ მიწოდებული თამაში ან/და არსებითი პროდუქცია/სერვისი განიცდის არსებით ცვლილებას (მათ შორის, მაგრამ არამხოლოდ, ჯეკპოტების გაცემის წესი, არსებული თამაშების ნებისმიერი ცვლილება ან ახალი თამაშების დამატება), იგი ვალდებულია, აცნობოს შემოსავლების სამსახურს შესაბამისი ცვლილებების შესახებ, თანხმობის მოპოვების მიზნით და წარუდგინოს ავტორიზაციის სერტიფიკატი. აღნიშნული თანხმობის მიუღებლობის შემთხვევაში, ნებართვის მფლობელს ეკრძალება სახეცვლილი თამაშის ან/და სერვისის მიწოდება. ამ პუნქტში გათვალისწინებული არსებითი ცვლილება ითვალისწინებს, მათ შორის, მაგრამ არამხოლოდ, იმ ცვლილებებს, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს:

ა) მოთამაშის მიერ განთავსებულ ფსონზე;

ბ) მოგების ოდენობაზე;

გ) თამაშის არქიტექტურაზე;

დ) თამაშების კომბინაციურ ხაზებზე;

ე) შემთხვევითი რიცხვების გენერირების პროგრამაზე (RNG);

ვ) ჯეკპოტის გაცემის სისტემაზე.

ასევე დგინდება აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიმწოდებლის ვალდებულება აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების მოწყობის ნებართვის მფლობელთან გაფორმებული ხელშეკრულების ასლი წარადგინოს შემოსავლების სამსახურში, მისი გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 დღისა. აღნიშნულ ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, ნებართვის მფლობელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს ცვლილების შესახებ შემოსავლების სამსახურს და წარუდგინოს ცვლილების დოკუმენტის ასლი.

ამასთან, ახალი ნებართვის სახის შემოღებასთან არის დაკავშირებული ასევე შესაბამისი სანქციების დადგენა. კერძოდ, დგინდება, რომ აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვის მფლობელი პირის მიერ სანებართვო პირობების დარღვევა იწვევს ჯარიმას - 2 000 ლარის ოდენობით; ხოლო სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში - 10 000 ლარს.

2. კანონპროექტის თანახმად შემოსავლების სამსახური უფლებამოსილი ხდება, სანებართვო პირობების შესრულების კონტროლის მიზნით, **კანონმდებლობის შესაბამისად დანერგოს კონტროლის ელექტრონული სისტემა შერჩეული პირის მეშვეობით** და როგორც შემოწმების ფარგლებში, ასევე მიმდინარე რეჟიმში, გააკონტროლოს სანებართვო პირობების შესრულება. შერჩეული პირი განისაზღვრება, როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის მიერ, სათამაშო ბიზნესის კონტროლის ელექტრონული სისტემის დანერგვისა და ოპერირების მიზნით, შერჩეული პირი.

ასევე განისაზღვრება, რომ შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, კონტროლი დააწესოს სანებართვო პირობების შესრულებაზე. ამ მიზნით, შესაძლებელია, კალენდარული წლის განმავლობაში რაოდენობრივი შეზღუდვის გარეშე და ნებისმიერ დროს შემოწმდეს ნებართვის მფლობელის მიერ ამ კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების მდგომარეობა. შემოწმების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

შემოსავლების სამსახურსა და შერჩეულ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შერჩეული პირი ვალდებულია, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, დანერგოს სათამაშო ბიზნესის კონტროლის ელექტრონული სისტემა და უზრუნველყოს მისი ოპერირება. ხელშეკრულება ფორმდება 15 წლის ვადით. სათამაშო ბიზნესის კონტროლის ელექტრონული სისტემის საშუალებით კონტროლდება სათამაშო აპარატების, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული და მომგებიანი (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) თამაშობების და ტოტალიზატორის ორგანიზატორის მიერ სანებართვო პირობებისა და კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულება. კეთდება დათქმა, რომ შერჩეული პირის სერვერი განთავსებული უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიაზე. მოთხოვნებს სათამაშო ბიზნესის კონტროლის ელექტრონული სისტემის მიმართ განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

ამასთან, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილი იქნება აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორებს, თამაშების მიმწოდებლებს დაუწესოს დამატებითი მოთხოვნები/ვალდებულებები კონტროლის ელექტრონული სისტემის დანერგვისა და ფუნქციონირების მიზნით. აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორის, თამაშების მიმწოდებლის მიერ აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობა ჩაითვლება სანებართვო პირობების დარღვევად.

პროექტით განისაზღვრება, ასევე, რომ სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის ორგანიზების შემთხვევაში, თუ ნებართვის მფლობელი/მაძიებელი საქმიანობისთვის იყენებს საკუთარი რესურსით შექმნილ სისტემას, იგი, საქართველოს ფინანსთა მინისტრის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისად, უნდა შემოწმდეს შერჩეული პირის მიერ და გაიცეს შესაბამისი ავტორიზაციის სერტიფიკატი. ავტორიზაციის სერტიფიკატის გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის სამართლებრივი აქტით.

შერჩეული პირის მიერ ნებართვის მაძიებლის, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორის, თამაშების მიმწოდებლის ონლაინ სათამაშო სისტემის პირველადი კვლევისთვის (შემოწმებისთვის) და შესაბამისი ავტორიზაციის სერტიფიკატის გაცემისთვის, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორთან ან/და თამაშების მიმწოდებელთან და მათ კონტრაქტორთან/აგენტთან განსათავსებელი მოწყობილობებისთვის/აღჭურვილობისთვის და კონტროლის/მონიტორინგის სისტემისთვის (ასევე მათი დამონტაჟებისთვის), ელექტრონული

კონტროლის სისტემის ოპერირებისთვის (საოპერაციო საფასური), ტოტალიზატორის ორგანიზატორისთვის POS ტერმინალის მიწოდებისთვის ნებართვის მაძიებელი/ნებართვის მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს საფასურ(ებ)ი. შერჩეული პირისათვის გადასახდელი საფასურის დეტალური სახეობები, მათი ოდენობები, გადახდის პერიოდულობა და წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით.

3. **ადმინისტრირების გაუმჯობესებისა** და მთელი რიგი საკითხების დაზუსტების მიზნით ხორციელდება შემდეგი ცვლილებები:

სამორინეს და სათამაშო აპარატების სალონის განმარტებაში დაზუსტდა, რომ ობიექტი უნდა მოეწყოს შენობა-ნაგებობაში ან შენობა-ნაგებობის ნაწილში, რაც მოიცავს მაგალითად ისეთ შემთხვევებს, როდესაც სამორინე და სათამაშო აპარატების სალონი ეწყობა ერთად, სამორინე და სათამაშო აპარატების სალონი მოეწყოს ერთ სივრცეში, შენობა-ნაგებობის ნაწილში და ამასთან, სათამაშო აპარატები და სამორინეს მაგიდები განთავსდეს ერთმანეთისგან გამიჯნულად.

სამორინეს მაგიდის განმარტებას დაემატა შემდეგი ნაწილი - „სამორინეს მაგიდა, რომელზედაც მიმდინარეობს ერთდროულად ორი ან მეტი თამაში სამორინეს ორ ან მეტ წარმომადგენელსა და მოთამაშეს (მოთამაშეებს) შორის, მიიჩნევა იმდენ სამორინეს მაგიდად, რამდენ სამორინეს წარმომადგენელთანაც მიმდინარეობს თამაშობა.“, რაც მოიცავს, ისეთ შემთხვევას, რომ თუ სამორინეს მაგიდაზე 2 წარმომადგენელს შორის მიმდინარეობს თამაში უნდა გადაიხადოს 2 მაგიდის მოსაკრებელი.

– ელექტრონული, მექანიკური ან ელექტრომექანიკური მოწყობილობა ან სხვა სპეციალიზებული მოწყობილობა, რომელსაც აქვს სპეციალური პროგრამა ან/და მექანიზმი, რომელიც იძლევა ფულად მოგებას ან ფულადი მოგების განსაზღვრის საშუალებას. სათამაშო აპარატი, რომელზედაც მიმდინარეობს ერთი ან/და რამდენიმე თამაშობა, რომელზე თამაშიც ერთდროულად შეუძლია რამდენიმე მოთამაშეს და რომელიც შედგება რამდენიმე სათამაშო ადგილისგან, მიიჩნევა იმდენ სათამაშო აპარატად, რამდენი სათამაშო ადგილისგანაც შედგება (გარდა იმ ელექტრონული სათამაშო ბორბლის (რულეტის), რომელზეც მიმდინარეობს ერთი ან/და რამდენიმე სახეობის რულეტის თამაშობა);

სათამაშო აპარატის განმარტების ცვლილებით სათამაშო აპარატი, რომელზედაც მიმდინარეობს ერთი ან/და რამდენიმე თამაშობა, რომელზე თამაშიც ერთდროულად შეუძლია რამდენიმე მოთამაშეს და რომელიც შედგება რამდენიმე სათამაშო ადგილისგან, მიიჩნევა იმდენ სათამაშო აპარატად, რამდენი სათამაშო ადგილისგანაც შედგება (გარდა იმ ელექტრონული სათამაშო ბორბლის (რულეტის), რომელზეც მიმდინარეობს ერთი სახეობის თამაშობა). შესაბამისად, ასეთი ტიპის სათამაშო აპარატებზე მოსაკრებლის გადახდა ხორციელდება სათამაშო ადგილების მიხედვით.

კანონის მე-3 მუხლს, ემატება ბენეფიციარი მესაკუთრის განმარტება. აღნიშნული ცვლილება განპირობებულია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით FATF და MONEYVAL-ის რეკომენდაციების იმპლემენტაციისა და ამ მიმართულებით კონტროლის გამკაცრების აუცილებლობით. აღნიშნული რეკომენდაციების თანახმად, ნებართვის გამცემი ორგანო ვალდებულია ნებართვის გაცემამდე გამოიკვლიოს ნებართვის მაძიებელი ბენეფიციარი პირი და მისი კაპიტალი, შესაბამისად, სათამაშო ბიზნესის ყველა ნებართვის (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მოთხოვნისას, ნებართვის მაძიებელი ვალდებულია წარმოადგინოს ინფორმაცია ბენეფიციარი მესაკუთრეების ნასამართლობის შესახებ. ხოლო, ტოტალიზატორის, სამორინეს და სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის გაცემისას ასევე სანებართვო მოსაკრებლის გადასახდელად საჭირო ფულადი სახსრების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის დამატებით, შემოღებულ იქნა სანებართვო პირობების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის ვადა, რაც აქამდე არ იყო დადგენილი. კერძოდ, განისაზღვრება, რომ ნებართვის მფლობელი ვალდებულია, სანებართვო პირობების დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს ჯარიმის დაკისრების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისთვის ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

აზარტული და მომგებიანი თამაშობების სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში არ არის დაზუსტებული ორგანიზატორს ერთი ნებართვით რამდენი ვებ-გვერდის ორგანიზება შეუძლია, შესაბამისად მე-11 მუხლის 2^1 და 2^2 პუნქტების დამატებით, ზუსტდება, რომ ერთი ნებართვით დასაშვებია მხოლოდ ერთი ინტერნეტ დომენის სახელის ქვეშ არსებული ვებგვერდის ორგანიზება.

მე-11 მუხლის 2^5 პუნქტის დამატებით განისაზღვრება, რომ აკრძალულია აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობისათვის განკუთვნილ ობიექტზე სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობაში მონაწილეობის მიღების მიზნით, კომპიუტერის ან/და სხვა მსგავსი ელექტრონული მოწყობილობის განთავსება.

კანონში არ არის დაზუსტებული რეალური ობიექტის ფუნქციონირების შეწყვეტის შემთხვევაში, ნებართვის მფლობელს უფლება აქვს თუ არა სისტემურ-ელექტრონული ფორმით განაგრძოს თამაშის ორგანიზება. ცვლილების თანახმად, დადგინდება შეზღუდვა, რომლის თანახმად, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის სისტემურ–ელექტრონული ფორმით ორგანიზება, რეალური ობიექტის ფუნქციონირების შეწყვეტისას, შესაძლებელია მიმდინარე კვარტლის განმავლობაში არაუმეტეს 60 კალენდარული დღისა. ყოველ მომდევნო კვარტალში აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის სისტემურ–ელექტრონული ფორმით ორგანიზება შესაძლებელია მხოლოდ რეალური ობიექტის ფუნქციონირების არანაკლებ 30 დღით განახლების შემთხვევაში (მუხლი 11, 2^6).

კანონში ცალსახად არ არის გაწერილი მომგებიანი და აზარტული თამაშობების ნებართვებით ორგანიზებული ობიექტების ერთად მოწყობის აკრძალვა-დაშვების თაობაზე. გახშირდა შემთხვევები, როცა ობიექტები ეწყობა ერთ სივრცეში, გააჩნიათ ერთი სალარო და ა.შ. ან სათამაშო აპარატების სალონს არ გააჩნია სალარო და მოგებას გასცემენ ტოტალიზატორის სალაროში. შესაბამისად განისაზღვრა, რომ სამორინე, სათამაშო აპარატების სალონი, აზარტული კლუბი, ტოტალიზატორი, ლოტო და ბინგო უნდა მოეწყოს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ცალკე ობიექტად (მუხლი 11, 4^1).

აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის ნებართვა არ გაიცემა საგადასახადო დავალიანების არსებობის შემთხვევაში. წამახალისებელი გათამაშება, როგორც წესი ეწყობა კონკრეტული სახის პროდუქციის ან/და მომსახურების უკეთ რეალიზების მიზნით. პროდუქციის ან/და მომსახურების უკეთ რეალიზება გადამხდელს დაეხმარება საგადასახადო დავალიანების დაფარვაში. შესაბამისად, ცვლილების თანახმად, წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვის მაძიებელს ნებართვა მიეცემა საგადასახადო დავალიანების არსებობის შემთხვევაშიც. აღნიშნულის გათვალისწინებით ცვლილება შედის კანონის მე-11 მუხლის მე-7 პუნქტში.

მე-11 მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების შესაბამისად, ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით დგინდება შეზღუდვები, კერძოდ იკრძალება სამორინეს, სათამაშო აპარატების სალონის, აზარტული კლუბის, ტოტალიზატორის, ლოტოს ან/და ბინგოს მოწყობის, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვის გაცემა პირზე, რომლის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ან/და დამფუძნებელი/პარტნიორი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ბენეფიციარი მესაკუთრე ფიზიკური პირი არის მსჯავრდებული ან ნასამართლევი განზრახ ჩადენილი ეკონომიკური, საფინანსო საქმიანობის სფეროში

დანაშაულისთვის ან განზრახ ჩადენილი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის და მას ნასამართლობა არ აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული. დათქმა ვრცელდება ნებართვის ფლობის მთელი პერიოდის განმავლობაში. აღნიშნული შეზღუდვა ვრცელდება ასევე სამორინეს მოწყობის ნებართვის გაცემაზეც (მე-19 მუხლის 1[1] და 1[2] პუნქტები).

მე-11 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად იზღუდება აზარტულ თამაშობებში მონაწილეობისას ნივთობრივი მოგების მიღება.

მე-12 მუხლში განსახორციელებელი ცვლილებებით **ფართოვდება იმ დოკუმენტების ჩამონათვალი,** რომელიც ნებართვის მაძიებელმა უნდა წარადგინოს შემოსავლების სამსახურში. კერძოდ, მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის მისაღებად ნებართვის მაძიებელმა, სხვა დოკუმენტებთან ერთად შემოსავლების სამსახურს უნდა წარუდგინოს: მომგებიანი თამაშობის მოწყობის პირობები (რეგლამენტი), რომელშიც ასევე აღნიშნული უნდა იყოს: ტოტალიზატორის მოწყობის შემთხვევაში, გამოსაყენებელი/გამოყენებული POS ტერმინალების რაოდენობა, შესაბამისი ავტორიზაციის სერტიფიკატის რეკვიზიტების მითითებით; ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს მოწყობის შემთხვევაში - მომგებიანი თამაშობების ჩამონათვალი და მათი დეტალური აღწერილობები; წამახალისებელი გათამაშების მოწყობის შემთხვევაში –საპრიზო ფონდის გათამაშების თარიღი და მისამართი. ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში – სისტემურ-ელექტრონული თამაშობის წესში დამატებით მითითებული უნდა იყოს: ტოტალიზატორის მოწყობის შემთხვევაში: შერჩეული პირის მიერ გაცემული ავტორიზაციის სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს POS ტერმინალის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან/სტანდარტებთან შესაბამისობას; მოგების გაცემის და პრეტენზიის განხილვის წესი და ვადა; იმ შემთხვევაში, თუ თამაშობის მოწყობისას იყენებს სხვა პირის მიერ მიწოდებულ თამაშ(ებ)ს ან/და არსებით პროდუქციას/სერვისებს - ამ პირზე გაცემული აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების მოქმედი ნებართვის ნომერი; მოთამაშეთა რეგისტრაციის/იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის ფორმა და წესი; მოთამაშეთა პერსონალურ მონაცემთა შენახვის წესი და ტექნოლოგიური აღწერილობა; ინტერნეტ პლატფორმის/სისტემის დაცვის მექანიზმების ჩამონათვალი; თამაშების მართვის სისტემის აღწერილობა; ფინანსური ტრანზაქციების აღრიცხვისა და შენახვის დეტალური აღწერილობა; ასევე წარდგენილ უნდა იქნეს: გამოსაყენებელი/გამოყენებული არსებითი პროდუქციის/სერვისების საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან/სტანდარტებთან შესაბამისობის დამადასტურებელი ავტორიზაციის სერტიფიკატი; თამაშ(ებ)ის ან/და არსებითი პროდუქციის/სერვისების მიმწოდებელ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების ასლი; აღნიშნულ ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, ნებართვის მაძიებელი/ნებართვის მფლობელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს ცვლილების შესახებ შემოსავლების სამსახურს და წარუდგინოს ცვლილების დოკუმენტის ასლი; თამაშების მართვის სისტემის ტექნიკური დოკუმენტაცია; ნებართვის მაძიებლის (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის, დამფუძნებლის/პარტნიორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ბენეფიციარი მესაკუთრე ფიზიკური პირის ნასამართლობის შესახებ ცნობა. ნასამართლობის შესახებ ცნობა გაცემული უნდა იყოს იმ ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რომლის მოქალაქეც არის ნებართვის მაძიებლის (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, დამფუძნებელი/პარტნიორი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ბენეფიციარი მესაკუთრე ფიზიკური პირი; სანებართვო მოსაკრებლის გადასახდელად საჭირო ფულადი სახსრების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება ნებართვის მაძიებელს; ნებისმიერი სხვა დოკუმენტაცია/ინფორმაცია, რომელსაც მოითხოვს

შემოსავლების სამსახური ნებართვის გაცემის თაობაზე ნებართვის მაძიებლის განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მისაღებად.

მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „გ[1]“ ქვეპუნქტში ზუსტდება წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვის წარმომადგენელზე გაცემის საკითხი, რა დროსაც სავალდებულოა ნებართვის მაძიებლის მიერ პროდუქციის ან მომსახურების მწარმოებლის მიერ ნებართვის მაძიებლისთვის წარმომადგენლობაზე მინიჭებული უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „გ“, „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით ზუსტდება, რომ ტოტალიზატორის, ლოტოსა და ბინგოს ობიექტების ადგილმდებარეობის შეცვლის შემთხვევაში მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორმა შემოსავლების სამსახურს უნდა წარუდგინოს: ხელშეკრულება დასამზადებელი ბილეთების რაოდენობის და ნუმერაციის მითითებით; მომგებიანი თამაშობის მოწყობის პირობები (რეგლამენტი), ხოლო სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში - სისტემურ-ელექტრონული თამაშობის წესი; გამოსაყენებელი/გამოყენებული არსებითი პროდუქციის/სერვისების საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან/სტანდარტებთან შესაბამისობის დამადასტურებელი ავტორიზაციის სერტიფიკატი;

კანონის მოქმედი რედაქციით მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორი ვალდებულია თამაშობის ზოგად წესში ცვლილების შეტანის შემთხვევაში თანხმობის მისაღებად, ხოლო სხვა ცვლილების შემთხვევაში – ცვლილების განხორციელებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში ინფორმაციის სახით აცნობოს შემოსავლების სამსახურს აღნიშნულის თაობაზე. მიზანშეწონილია არა ცვლილების განხორციელების შემდეგ, არამედ ცვლილების განხორციელებამდე 1 დღით ადრე აცნობოს შემოსავლების სამსახურს, ვინაიდან შემოწმებისას აღმოჩენილი უზუსტობები ნებართვის მფლობელთა მიერ ზუსტდება მომდევნო დღეს და ამით თავიდან ირიდებენ სანქციის დაკისრებას. (მუხლი 13). ანალოგიური ცვლილება ხორციელდება 21-ე მუხლის მე-2 პუნქტში აზარტული თამაშობის ორგანიზატორთან მიმართებაში.

ანალოგიური ცვლილება შედის აზარტული თამაშობების მარეგულირებელ ნორმებშიც (მუხლი 21).

მე-19 მუხლის პირველ პუნქტში და მე-20 მუხლის პირველ პუნქტში განსახორციელებელი ცვლილებებით ზუსტდება ასევე, სამორინეს მოწყობის ნებართვის და სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის მისაღებად ნებართვის მაძიებლის მიერ წარსადგენი დოკუმენტები. ამასთან, უცვლელი რჩება აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში – სისტემურ-ელექტრონული თამაშობის წესში, ინტერნეტით მოწყობის შემთხვევაში მისათითებელი ინფორმაცია.

მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის დამატებით, განისაზღვრება, რომ სამორინეს და აზარტული კლუბის მოწყობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილი წესით და სააღრიცხვო ფორმების მეშვეობით.

20[1] მუხლის 2[1] პუნქტში დაემატა მოთხოვნა, რომლის თანხმად, აზარტული ტურნირის ორგანიზატორმა ტურნირის წესებში უნდა მიუთითოს ტურნირში მონაწილეობის საფასურის ოდენობა ან/და მომსახურების საკომისიოს ოდენობა, აღნიშნული ცვლილება განხორციელდა ადმინისტრირების გაუმჯობესების მიზნებისთვის, რაც შემოსავლების სამსახურს მისცემს შესაძლებლობას განსაზღვროს ორგანიზატორის მიერ ტურნირიდან მიღებული შემოსავლის ოდენობა.

29-ე მუხლში განსახორციელებელი ცვლილებებით, ზუსტდება აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორის ვალდებულებები. კერძოდ, ორგანიზატორი

ვალდებულია დროულად გადაიხადოს შერჩეული პირისათვის გადასახდელი საფასურ(ებ)ი; ელექტრონული კონტროლის სისტემის დანერგვის ან/და ოპერირების მიზნით შემოსავლების სამსახურს ან/და შერჩეულ პირს შეუქმნას შესაბამისი სამუშაო პირობები, მიაწოდოს მოთხოვნილი დოკუმენტაცია/ინფორმაცია და უზრუნველყოს მათი დაშვება აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების მოწყობის ადგილას, ასევე თამაშობების მოწყობისათვის ან/და აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდებისათვის გამოსაყენებელ/გამოყენებულ ნებისმიერ და ყველა მოწყობილობასთან და მოთხოვნის შესაბამისად, დააერთებინოს ელექტრონული კონტროლისათვის საჭირო მოწყობილობები თავის საკუთრებაში/მფლობელობაში საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ, თამაშობების მოწყობისათვის ან/და აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდებისათვის გამოსაყენებელ/გამოყენებულ მოწყობილობებზე და მისცეს წვდომა მის მიერ გამოყენებულ არსებით პროდუქციაში/სერვისებში არსებულ ინფორმაციაზე; აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში უზრუნველყოს თითოეული მოთამაშის იდენტიფიკაცია, შემოწმება (ვერიფიკაცია) და რეგისტრაცია პერსონალური საიდენტიფიკაციო მონაცემების მიხედვით, კანონმდებლობით დადგენილი წესით; შეასრულოს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით ან/და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დაკისრებული ვალდებულებები და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს წარუდგინოს ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით; აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში, ანგარიშზე თანხის შეტანა/გატანა უზრუნველყოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად; მოთამაშეთა პრეტენზიებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღოს მოწყობის პირობებით (რეგლამენტით) ან/და სისტემურ-ელექტრონული თამაშობის წესით გათვალისწინებული პრეტენზიის განხილვის წესით და ვადებში.

29-ე მუხლის 1^1 პუნქტის დამატებით დგინდება, რომ ტოტალიზატორის მოწყობის ნებართვის მფლობელი (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული თამაშისა) ვალდებულია თამაშობის ორგანიზება/მოწყობა განახორციელოს შერჩეული პირის მიერ მიწოდებული POS ტერმინალით, რომელიც ავტორიზებულია შემოსავლების სამსახურის მიერ. ავტორიზაციის წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის სამართლებრივი აქტით.

ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად განისაზღვრება, რომ თამაშობის ორგანიზატორი, რომელიც აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიმწოდებლისგან იღებს შესაბამის აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებს ან/და არსებით პროდუქციას/სერვისს, ვალდებულია ასეთი თამაშობების ან/და არსებითი პროდუქციის/სერვისის მიღებამდე, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიმწოდებელს მოსთხოვოს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაცემული აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვა და არ დაუშვას თავის საქმიანობაში ისეთი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების ან/და არსებითი პროდუქციის/სერვისების გამოყენება, რომელიც არ არის მიწოდებული შესაბამისი ნებართვის მქონე აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიმწოდებლის მიერ.

32-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების დამატებით, თამაშობის ორგანიზატორი ვალდებული ხდება აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ადგილას შესულ პირს მოსთხოვოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან პირის ვინაობისა და საიდენტიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი სხვა, კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული, დოკუმენტის ასლი, ფიზიკური ან ელექტრონული სახით. ამასთან, განისაზღვრება, რომ ორგანიზატორის მიერ მოპოვებული ინფორმაცია კანონმდებლობის შესაბამისად 5 წლის განმავლობაში ინახება

სპეციალურად შექმნილ ელექტრონულ ბაზაში/არქივში. აღნიშნული ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი მესამე პირისთვის გადაცემა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

33-ე მუხლში განსახორციელებელი ცვლილების შესაბამისად, დგინდება, რომ სათამაშო აპარატები თამაშობისათვის დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აქვს, არა მხოლოდ განმასხვავებელი აღნიშვნა (საქარხნო ნომერი), არამედ, აუცილებელია ასევე ელექტრონული კონტროლის განხორციელებისთვის საჭირო მოწყობილობის არსებობა.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი არ უკავშირდება სამთავრობო პროგრამას.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტის ამოქმედება გათვალისწინებულია რამდენიმე ეტაპად, კერძოდ:

გამოქვეყნებისთანავე ამოქმედება დებულებები, რომელიც დაკავშირებულია შერჩეული პირის უფლება-მოვალეობებთან და დაზუსტებითი ხასიათის ცვლილებები, რომლებიც დამატებით რეგულაციებს არ საჭიროებს;

2020 წლის პირველი ოქტომბრიდან გათვალისწინებულია იმ რეგულაციების ამოქმედება, რომელიც მოიცავს სათამაშო ბიზნესით დაკავებული სამეწარმეო სუბიექტების უფლება-მოვალეობებს, რომლისთვისაც ბიზნესს ესაჭიროება დრო გასაცნობათ და შესაბამისობაში მოსაყვანათ;

2021 წლის პირველი მარტიდან ამოქმედდება აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვების აღებასთან დაკავშირებული რეგულაციები და შერჩეული პირის უფლება-მოვალეობები, რაც დაკავშირებულია სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული თამაშებისთვის ავტორიზაციის სერტიფიკატის გაცემასთან.

2021 წლის პირველი სექტემბრიდან ამოქმედება გათვალისწინებულია იმ რეგულაციებისთვის, რომელიც მოიცავს POS ტერმინელების დამონტაჟებისა და სათამაშო აპარატებზე სპეციალური მოწყობილობების დამონტაჟების ვალდებულებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას);

კანონპროექტი მიზანშეწონილია განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით, ვინაიდან, „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებულია 2005 წელს და მასში წლების განმავლობაში მრავალი ცვლილება შევიდა. მიუხედავად ამისა, მთელი რიგი მიმართულებებით, კანონი კვლავ ნაკლებად განჭვრეტადი ან/და მოძველებულია, შესაბამისად, ვერ უწყობს ფეხს სათამაშო ბიზნესის ინდუსტრიის სწრაფ განვითარებას. აღნიშნული ეხება როგორც მასში მოცემულ ზოგად პრინციპებს, ასევე, კონკრეტულ სანებართვო პირობებს.

ამასთან, დღეის მდგომარეობით არ არსებობს მექანიზმი, რათა დადგინდეს ფინანსების რეალური მოძრაობა სათამაშო ბიზნესის სექტორში. წარმოდგენილი პროექტები ითვალისწინებს სათამაშო ბიზნესის კონტროლის ერთიანი სისტემის დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურისათვის მიმდინარე რეჟიმში თითოეულ სათამაშო აპარატზე, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშებზე და ტოტალიზატორში განთავსებული ფსონის შესახებ რეალურ დროში ინფორმაციის მიწოდებას.

აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით საქართველოს ფინანსთა სამინისტრო შეძლებს სათამაშო ბიზნესისთვის სწორი დაბეგვრის რეჟიმის შერჩევას, რაც თავის მხრივ დადებით გავლენას მოახდენს ბიუჯეტის შემოსულობებზე.
გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი პროექტებით გათვალისწინებული ცვლილებების აღსრულება სსიპ შემოსავლების სამსახურმა უნდა განახორციელოს შერჩეული პირის მეშვეობით, რომელსაც თავის მხრივ სჭირდება გონივრული ვადა სისტემის გამართულად დანერგვისა და ოპერირებისთვის, მიზანშეწონილია წარმოდგენილი პროექტები საქართველოს პარლამენტის მიერ განხილული ქნეს 2020 წლის საგაზაფხულო სესიაზე დაჩქარებული წესით. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროექტით გათვალისწინებული ცვლილებების საბოლოო იმპლემენტაცია დროში შეფერხდება, რაც თავის მხრივ დააყოვნებს სათამაშო ბიზნესის ინდუსტრიის ეფექტიანი კონტროლის განხორციელებასა და შესაბამისი თანმდევი ღონისძიებების განხორციელებას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):
ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
საჭიროების შემთხვევაში კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯები დაფინანსდება შემოსავლების სამსახურის ბიუჯეტიდან.
ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;
აღნიშნული კანონპროექტის მიღება გავლენას იქონიებს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. მათ შორის, კანონპროექტი ითვალისწინეს სანქციის შემოღებას აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების დარღვევისთვის (ჯარიმა - 2000 ლარი) და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევისთვის (ჯარიმა - 10000 ლარი). რაც თავის მხრივ, გაზრდის სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს. კონკრეტული ოდენობის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია და დამოკიდებული იქნება სამართალდარღვევათა ოდენობაზე.
კანონპროექტი ასავე გაზრდის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს იმ კუთხით, რომ ითვალისწინებს ნებართვის ახალ სახეს - აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების მიწოდების ნებართვა, შესაბამისი მოსაკრებელი განისაზღვრება 100 000 ლარით. გავლენის ოდენობა კი დამოკიდებული იქნება იმაზე თუ რამდენი პირი მიმართავს შემოსავლების სამსახურს აღნიშნული ნებართვის მისაღებად.
ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა გავლენა იქონიებს სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. ვინაიდან, კანონპროექტით გათვალისწინებულია რიგი უფლებამოსილებებისა, რომელიც დაკავშირებული იქნება შემოსავლების სამსახურის დატვირთულობის გაზრდასთან. საჭიროების შემთხვევაში კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯები დაფინანსდება შემოსავლების სამსახურის ბიუჯეტიდან.
ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:
კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ პირდაპირი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიღება გავლენას იქონიებს იმ პირებზე, რომლებსაც სურვილი ექნებათ განახორციელონ აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების მიწოდება, ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა დაექვემდებარება ნებართვას და შესაბამისი მოსაკრებლის გადახდას (100 000 ლარის ოდენობით). ამასთან, აზარტული ან მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორისთვის დადგენილი დამატებითი ვალდებულებები და სანებართვო პირობები, ასევე იქონიებს ფინანსურ გავლენას შესაბამის პირებზე, რომლის ოდენობის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია.

ამასთან, კანონპროექტი ითვალისწინებს ნებართვის მაძიებლების, თამაშობების ორგანიზატორების და აზარტული ან მომგებიანი თამაშების მიმწოდებლების მიერ შერჩეული პირისათვის საფასურების გადახდის ვალდებულებას. კერძოდ, შერჩეული პირის მიერ ნებართვის მაძიებლის, თამაშობის ორგანიზატორის, თამაშების მიმწოდებლის ონლაინ სათამაშო სისტემის პირველადი კვლევისთვის (შემოწმებისთვის) და შესაბამისი ავტორიზაციის სერტიფიკატის გაცემისთვის, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორთან ან/და თამაშების მიმწოდებელთან და მათ კონტრაქტორთან/აგენტთან განსათავსებელი მოწყობილობებისთვის/აღჭურვილობისთვის და კონტროლის/მონიტორინგის სისტემისთვის (ასევე მათი დამონტაჟებისთვის), ელექტრონული კონტროლის სისტემის ოპერირებისთვის (საოპერაციო საფასური), ტოტალიზატორის ორგანიზატორისთვის POS ტერმინალის მიწოდებისთვის ნებართვის მაძიებელი/ნებართვის მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს საფასურ(ებ)ი. შესაბამისად, აღნიშნული ვალდებულების შემოღება ფინანსურ გავლენას იქონიებს სამეწარმეო სუბიექტებზე, ვინც ისარგებლებს აღნიშნული მომსახურებით. თუმცა ფინანსური გავლენის ზუსტი განსაზღვრა წინასწარ შეუძლებელია, ვინაიდან შერჩეული პირისათვის გადასახდელი საფასურის დეტალური სახეობები, მათი ოდენობები, გადახდის პერიოდულობა და წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით.

კანონპროექტის მიღება გავლენას იქონიებს აგრეთვე აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვის მფლობელებზე (ვინც აიღებს ასეთ ნებართვას), კერძოდ, მათ მიერ სანებართვო პირობების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით, ხოლო სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევა - 10000 ლარის ოდენობით.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება ახალი გადასახადი ან მოსაკრებელი, თუმცა ჯარიმების სახით ხდება სხვა სახის გადასახდელის შემოღება. კერძოდ, კანონპროექტი ითვალისწინეს სანქციის შემოღებას აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების დარღვევისთვის (ჯარიმა - 2000 ლარი) და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევისთვის (ჯარიმა - 10000 ლარი).

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება საერთაშორისო ხელშეკრულებას/შეთანხმებას.
გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:
ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.
დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.
დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:
ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:
საქართველოს მთავრობა.